

ჟან ბატისტ მოლიერი

ძალად ექიმი

(კომედია)

მოქმედი პირნი:

1. სგანარელი
2. მარტინა
3. ჟერონტი
4. ლუცინდა
5. ლეანდრი
6. ჟაკლინა
7. ლუკა
8. რობერტი
9. ვალერიო

1 მოქმედება

მარტინა – აშენდა ქვეყანა, ადექი, ღვინის რუმბო.

სგანარელი – მე შენ გეუბნები არ მსურს მუშაობა, აქ მე ვარ ბატონი თუ შენ?

მარტინა – მე კი მინდა ვიცხოვრო ისე როგორც მე მინდა, იმიტომ
კი არ წამოგყევი ცოლად, რომ მასხარად ამიგდო.

სგანარელი – ოი, რა ტანჯვაა ცოლის ყოლა, მართალი იყო არისტოტელე,
რომ ამბობდა ცოლი ეშმაკზე უარესიაო.

მარტინა – ერთი უყურეთ ამ ჭკუის კოლოფს, იმ სულელ არისტოტელესაც
რომ იმოწმებს.

სგანარელი – დიახაც ჭკუის კოლოფი ვარ, აბა წადი და მოძებნე სხვა ხის
მჭრელი,

რომელსაც ჩემსავით შეუძლია იმსჯელოს ყველა საგანზე,

ექვსი

წელიწადი იმსახუროს ცნობილ ექიმთან და ცოტაოდენი

ლათინურიც

კი იცოდეს.

მარტინა – ჭირსაც წაუღიხარ!

სგანარელი – ეშმაკსაც წაუღიხარ!

მარტინა – წყეულიმც იყოს ის დღე და საათი, როდესაც მე შენ
ცოლად გამოგყევი.

სგანარელი – წყეულიმც იყოს იმ ნოტარიუსის კალამი, რომლითაც ჩვენ
დასაქცევ საქორწინო ხელშეკრულებას ხელი მოვაწერეთ.

მარტინა – შენ კიდევ ბედავ და ბედს უჩივი? ყოველ წუთს ღმერთს
მადლობას

უნდა სწირავდე, რომ შენი ცოლი ვარ, შენ ჩემნაირი ცოლის
ღირსი ხარ?

სგანარელი – მართლაც, დიდი პატივი დამდე, სატრაბახოც ბევრი არ
მქონდა პირველ დამეს? ეხ, ჯანდაბას ნუ ვილაპარაკებთ
ამის შესახებ, თორემ მე ისეთ რამეებს ვიტყვი . . .

მარტინა – რას? რას იტყვი?

სგანარელი – კმარა, დავანებოთ თავი მაგ ამბებს, საკმარისია რომ ჩვენ ვიცით
ის

რაც ვიცით. . . შენ თავს ბედნიერად უნდა სთვლიდე რომ მე

შეგხვდი.

მარტინა – მე თავს ბედნიერად უნდა ვთვლიდე, რომ შენ შეგხვდი? ადამიანი,
რომელმაც დამასწავლა, გარყვნილი, გათახსიებული, შენ არ
შემიჭამე ყველაფერი რაც კი გამაჩნდა?

სგანარელი – სტყუი, ზოგი რამ შეესვი.

მარტინა – შენ არ გაყიდე ყველაფერი?

სგანარელი – სწორად მოვიქეცი უფრო სადა ცხოვრებისათვის.

მარტინა – ქვეშაგებიც კი გამომაცალა და გაყიდა!

სგანარელი – ჰო და დილაობით უფრო ადრე ადგები.

მარტინა – სახლში ერთი ნივთიც კი არ დაგიტოვებია.

სგანარელი – იმისათვის, რომ ადვილი იყოს ახალ ბინაზე გადასვლა.

მარტინა – დილიდან სადამომდე ქეიფობ და ლოთობ.

სგანარელი – ამას ჩავდივარ იმისათვის, რომ არ მომწყინდეს.

მარტინა – როგორ გინდა, რომ მე ოჯახს გაუძღვე?

სგანარელი – როგორც გენებოს.

მარტინა – ოთხი პატარა ბავშვი მაზის კისერზე!

სგანარელი – ძირს დასვი.

მარტინა – ყოველ საათში ჭამა უნდათ.

სგანარელი – შენც აიღე და გაწკეპლე.

მარტინა – შე ლოთო, დიდხანს უნდა გააგრძელო ასეთი ცხოვრება?

სგანარელი – ჩემო მეუღლე, გთხოვთ წყნარად ილაპარაკოთ!

მარტინა – როდემდე უნდა ავიტანო შენი გარყვნილება და უდიერება?

სგანარელი – ნუ ავღელვდებით, ჩემო მეუღლე.

მარტინა – მე მოვნახავ რაიმე საშუალებას, რომ ჭკუაზე მოგიყვანო
და შეგასრულებინო შენი მოვალეობა.

სგანარელი – ჩემო მეუღლე, მე მუდამ მოთმენა არ შემიძლია და
მკლავებშიც ძალა მერჩის.

მარტინა – ფეხებზე მკიდია შენი მუქარა.

სგანარელი – ჩემო ტკბილო მეუღლე, თქვენ მგონი კანი აგექავათ. ჩემო
ძვირფასო ნახევარო, როგორც ვხედავ ჩემი მუშტები

მოგენატრა.

მარტინა – შენ გგონია რომ შენი სიტყვების შემეშინდა?

სგანარელი – ჩემო ტკბილო ოცნებავ მე შენ ყურებს აგიწევ.

მარტინა – შე ლოთო შენა!

სგანარელი – მე შენ გცემ!

მარტინა – ღვინის რუმბო!

სგანარელი – გაგლახავ!

მარტინა – საზიზღარო!

სგანარელი – ტყავს გაგაძრობ!

მარტინა – მოღალატევე, უდიერო, მატყუარავ, მშიშარავ, უსაქმურო,
მათხოვარო, ავაზაკო, მაწანწალა, ქურდო.

სგანარელი – აა, ეს გინდოდა და მიირთვი!

მარტინა – ვაი.. ვაი.. ვაი..

სგანარელი – აი, ნამდვილი საშუალება შენს დასაწყენარებლად.

რობერტი – აი, აი, რა ამბავია აქ, შე ოხერო როგორ ბედავ, როგორ
შეიძლება

ცოლის ასე ცემა?

მარტინა – მე მინდა რომ გამგლახოს, მცემე! არ დამზოგო!

რობერტი – ო, მაშინ, გულით და სულით თანხმა ვარ.

მარტინა – თქვენ რად ერევით სხვის საქმეში, მცემე! დამიპყარი!

რობერტი – დამნაშავე ვარ.

მარტინა – რა თვენი საქმეა?

რობერტი – მართალს ბრძანებთ.

მარტინა – ერთი უყურეთ ამ თავხედს, მას უნდა ქმრებს ცოლების
ცემა დაუშალოს. მცემე, დამიპყარი, ალყა შემომარტყი.

რობერტი – მე ბოდიშს ვიხდი.

მარტინა – რა გინდა?

რობერტი – არაფერი.

მარტინა – რას ჰყოფდი ცხვირს სხვის საქმეში?

რობერტი – მე კრინტსაც აღარ დავძრავ.

მარტინა – თქვენს საქმეს მიხედეთ!

რობერტი – ხმას არ ამოვიღებ.

მარტინა – მე მიყვარს როდესაც მცემენ.

რობერტი – თანახმა ვარ.

მარტინა – განა თქვენ ამით რამეს ზარალობთ?

რობერტი – სრულებით არაფერს.

მარტინა – სულელი ყოფილხართ, როდესაც სხვის საქმეში ერევით.

რობერტი – სულითა და გულით ბოდიშს ვიხდი, ეგრე მოიქეცით, სცემეთ,
გაწკეპლეთ თქვენი ცოლი, თუ გინდათ მეც მოგეხმარებით.

სგანარელი – ეგ მე არ მომწონს.

რობერტი – ა, მაშინ სხვა საქმეა.

სგანარელი – მე ჩემს ცოლს ვცემ, როდესაც მომინდება და არ ვცემ
როცა არ მინდება.

რობერტი – ძალიან კარგი.

სგანარელი – ეს ჩემი ცოლია და არა თქვენი.

რობერტი – რასაკვირველია.

სგანარელი – თქვენ მე ვერაფერს ვერ მიბრძანებთ.

რობერტი – გეთანხმებით.

სგანარელი – თქვენი დახმარება მე არა მჭირდება.

რობერტი – კეთილი და პატიოსანი.

სგანარელი – თქვენ თავხედი ყოფილხართ, როდესაც სხვის საქმეებში

ერევით, იცოდეთ რომ ჯერ კიდევ ციციერონმა სთქვა:
„არამკითხე მოამბეო მიტყეპე და მიაგდეო“.

სგანარელი – ეგრე, ახლა შევრიგდეთ, მოიტა ხელი.

მარტინა – იმის შემდეგ რაც ეგრე მცემე.

სგანარელი – არაუშავს რა, მოიტა ხელი.

მარტინა – არ მინდა.

სგანარელი – ჩემო პატარა ცოლიკო.

მარტინა – არა და არა!

სგანარელი – გეყოფა, გემუდარები.

მარტინა – არა მსურს.

სგანარელი – მოდი, მოდი, მოდი.

მარტინა – არა, მე მინდა გაბუტული ვიყო.

სგანარელი – ფუ, სისულელეა.

მარტინა – დამანებე თავი.

სგანარელი – ჰო, კარგი, კარგი.

მარტინა – შენ ძალიან ცუდად მომეპყარი.

სგანარელი – ჰო, კარგი მე შენ გთხოვ მაპატიო.

მარტინა – მიპატიებია, სამაგიეროს გადაგიხდი.

სგანარელი – ხუთი-ექვსი ჯოხის მოქნევა მოსიყვარულე ადამიანებს შორის
კიდევ

უფრო გააცხოველებს სიყვარულს. აბა, მე ახლა ტყეში წავალ
და

სიტყვას გაძღვევ, რომ დღეს ას გუდურაზე მეტ შეშას
შეგკრაგ.

მარტინა – მე შენ ამას მაინც არ დაგივიწყებ, მოვნახავ საშუალებას,
ცოლს ყოველთვის შეუძლია შური იძიოს ქმარზე.

ლუკა – ეს რა დავალება დაგვაკისრეს, ეშმაკსაც წაუღია, არც კი
ვიცი რის გაკეთებას მოვახერხებთ.

ვალერიო – ნუ ბუზღუნებ, ჯერ ერთი ბატონის მორჩილები უნდა ვიყოთ,
მეორეც ისაა რომ ჩვენ ორივენი დაინტერესებულები ვართ ჩვენი
ბატონის ქალი გამოჯანმრთელდეს, მისი ქორწინება ხომ
ავადმყოფობის გამოა გადადებული, ჩვენც მოგვცემს გამორჩენას.
ჰოი, რა გულუხვი ადამიანია მოხუცი ჰორასი.

ლუკა – აშკარაა მას განზრახული აქვს ჩვენი ბატონის ქალის შერთვა,
თუმცა ჩვენი ქალბატონი დაუახლოვდა ვიღაც ლეანდრს, შენც
კარგად იცი რომ, მამამისი არასდროს არ მოისურვებს, ლეანდრი
სიძედ იყოლიოს.

მარტინა – ნუთუ ვერაფერს გამოვიგონებთ შურის საძიებლად?

ლუკა – რომ არ ვიცი, რა უნდა ამ ჩვენს ბატონს, ექიმებმა ხომ მთელი
თავისი ლათინური დახარჯეს და ქალბატონს ვერაფერი

მოუხერხეს.

ვალერიო – ხშირად როდესაც კარგად მოსძებნი, მიაკვლევ იმას რასაც უწინ
ვერ

ვპოულობდი.. მოხდება ხოლმე რომ სრულებით მოულოდნელად

...

მარტინა – რაღაც არ უნდა დამიჯდეს, აუცილებლად შური უნდა ვიძიო, ამდენი ცემა-ტყეპა აუტანელია. ბატონებო, ბოდიშს ვიხდი, მე არ შემომჩნევინებოთ, რადგან იმაზე ვფიქრობდი რაც მაწუხებს.

ვალერიო – ყველას თავისი საზრუნავი აქვს ამ ქვეყნად, ჩვენც ვეძებთ, სულითა და გულით გვსურს ვიპოვოთ რაღაც.

მარტინა – ეგებ ისეთი რამ არის, რომ შემიძლია დაგეხმაროთ.

ლუკა – შესაძლოა, ჩვენ ვეძებთ ისეთ გამოცდილ ადამიანს, ისეთ დახელოვნებულ ექიმს, რომელსაც შეუძლია უშველოს ერთ ავადმყოფ ქალს. იმ ქალს წაერთვა ლაპარაკის უნარი.

მარტინა – ახ, ეშმაკმა შთამაგონა საუცხოო აზრი, მეძლევა საშუალება ჩემს ქმარზე შური ვიძიო. ბატონებო სწორედ იმას მიაგენით რასაც ეძებდით. ჩვენ აქ გვყავს ერთი საოცარი ადამიანი, უებარი ექიმი, ისეთი უიმედო ავადმყოფისათვის.

ვალერიო – ღვთის გულისათვის, სად შეიძლება მისი ნახვა?

მარტინა – თქვენ მას აი იქ ნახავთ. ის შეშის ჭრით იქცევს თავს.

ლუკა – ექიმი რომელიც შეშას ჭრის?

ვალერიო – ეგებ თქვენ გინდათ ბრძანოთ რომ იგი სამკურნალო ბალახების კრეფით არის გართული?

მარტინა – არა, იგი ისეთი არაჩვეულებრივი კაცია, უცნაური, თავისებური, ჭირვეული, არც გეგონებათ, რომ სწორედ ის არის ასეთი დახელოვნებული ადამიანი, იგი უცნაურად იცვამს, თავს ისე

იჭერს

თითქოს უვიციაო და თავის ცოდნას არავის უმხელს, მთელს

დღეებს

ზეცით ბოძებულ საოცარი ნიჭის სრულყოფას ანდომებს.

ვალერიო – განსაცვიფრებელია, რომ ყველა დიდ ადამიანებს აქვს უცნაური თვისებები, ერთგავარი სიგიჟის მარცვალია მათ

სწავლულობაში.

ლუკა – მართალია.

მარტინა – იმის უცნაურობა იმაშია, რომ არც კი დაიჯერებთ, ხანდახან ის უნდა

სცემოთ, მე თქვენ გაფრთხილებთ, ვერაფერს გახდებით, ვერ ათქმევინებთ, რომ იგი ექიმი. თუ თავისებურად მოუარა

ჯოხით

უნდა სცემოთ და მაშინ გამოტყდება იმაში რასაც თავიდან

ფარავდა.

ჩვენც სწორედ ასე ვიქცევით როდესაც ექიმი გვჭირდება.

ვალერიო – აი უცნაური სიგიჟე.

მარტინა – მართალია. მაგრამ ამის შემდეგ თქვენ დაინახავთ, რომ იგი სასწაულებს ახდენს.

ვალერიო – რა ჰქვია სახელად?

მარტინა – სგანარელს ეძიიან, მისი გამოცნობა ადვილია, აცვია ყვითელი და მწვანე ტანსაცმელი, ნაოჭმოსხმული საყელოთი.

ლუკა – ყვითელი და მწვანე ტანსაცმელი? მაშ იმ თუთიყუშების ექიმი ყოფილა.

ვალერიო – ნუთუ ისეთი სწავლულია, როგორც თქვენ ბრძანეთ?

მარტინა – იგი სასწაულებს ახდენს. ექვსი თვეა ერთ ქალზე ყველა ექიმმა ხელი

აილო, ექვსი საათი სთვლიდნენ რომ ის მკვდარი იყო, დასამარხადაც

მოამზადეს ყველაფერი, როდესაც ძალით მიიყვანეს ის კაცი რომელზეც გიამბობთ, როგორც კი დაინახა, პირში ჩააწვეწოთ რაღაც

წამალი, ქალი წამოხტა ლოგინიდან და დაიწყო სეირნობა ოთახში,

თითქოს არაფერი არ მომხდარიყოს.

ლუკა – ვახ.. . .

ვალერიო – ალბათ ეს სასმელი ოქროს წვეთები იყო.

მარტინა – შესაძლოა, აი კიდევ ამ სამი კვირის წინათ ერთი თორმეტი წლის ბავშვი ჩამოვარდა სამრეკველოდან, ქვაფენილზე დაეცა,

მოიტეხა

ხელი, ფეხი და თავიც კი გაუსკდა. მოიყვანეს ეს კაცი, მან

მაშინაც

წაუსვა ბავშვს მთელს ტანზე თავისი ხელით გაკეთებული

რაღაც

მაღამო, ყმაწვილი წამოხტა და ასკინკილას თამაში დაიწყო.

ლუკა – ღმერთო ჩემო!

ვალერიო – ალბათ იმ კაცს უკვადავების წამალიც უნდა ჰქონდეს.

მარტინა – უეჭველად!

ლუკა – აი სწორედ ის ადამიანი, რომელსაც ჩვენ დავეძებთ.

ვალერიო – დიდ მადლობას გიძღვნით რომ ასეთი სასიამოვნო ამბის მახარობელი ბრძანდებით.

მარტინა – მაგრამ არ დაივიწყოთ, რის შესახებაც გაგაფრთხილეთ.

ლუკა – მაგის ჯავრი ნუ გექნებათ, თუ საქმე ცემაზეა? ისე დავზელოთ, რომ ბატკანივით მორჩილი გახდება.

ვალერიო – მე წინდაწინვე ვგრძნობ, რომ საუცხოო საქმეს გავაკეთებთ.

მარტინა – ესეც ასე!!!

სგანარელი – ჩემს თავს ვფიცავ საკმარისად ვიმუშავე, დროა დავლიო კიდეცაც,

მომაწყურვა, რა ცოტა სული მოვითქვა, აი, წყეული შეშა, როგორ

ბედნიერი ტკბილია, ღამაზო ბოთლო, რა ტკბილია შენი ღვინო.

ვიქნებოდი სულ რომ სავსე იყო. ოჰ, რად დაიცვლები ხოლმე?

ვალერიო – ის უნდა იყოს.

ლუკა – მართალს ამბობ, სწორედ მას წავაწყდით.

ვალერიო – ახლოს მივიდეთ .

სგანარელი – აჰ, შე პატარა ცუგრუმელა, როგორ მიყვარხარ შე კუდრაჭვ, შე, რას მიჰქარავენ რა უნდათ?

- ვალერიო – აშკარაა ეს სწორედ ის კაცია.
- ლუკა – სწორედ ისეა გამოწყობილი როგორც გვითხრეს.
- სგანარელი – მე მითვალთვალებენ, თანაც რაღაცაზე თათბირობენ, ნეტა რა განზრახვა აქვთ?
- ვალერიო – უკაცრავად, თქვენ გეძახიან სგანარელს?
- სგანარელი – რა თქვით?
- ლუკა – ჩვენ გვითხებით, ხომ თქვენ გეძახიან ბატონ სგანარელს?
- სგანარელი – ჰო და არა. იმის მიხედვით თუ რა გინდათ სგანარელისაგან?
- ვალერიო – ჩვენ გვსურს მხოლოდ სალამი უძღვნათ მას.
- სგანარელი – მაგ შემთხვევაში მე ვარ სგანარელი.
- ლუკა – ბატონო ჩემო, ჩვენ თქვენთან გამოგვგზავნეს ერთი საქმის გამო და გევედრებით დაგვეხმაროთ გაჭირვებაში.
- სგანარელი – თუ ეს ისეთი რამ არის ბატონებო, რაც ჩამს პატარა ხელობას შეეხება, მე მზად ვარ გემსახუროთ.
- ვალერიო – პატივცემულო ბატონო, თვენ დიდ პატივს გვღებთ, მაგრამ გთხოვთ ქუდი დაიხურეთ, მზემ არ შეგაწუხოს.
- ლუკა – ბატონო ჩამოიფახტეთ ქუდი.
- სგანარელი – ეს რა ცერემონიის ხალხია?
- ვალერიო – არ გაგიკვირდეთ ბატონო, რომ თქვენთან მოვედით, სასწაული ხალხი ყოველთვის სანთლით საძებარია, ჩვენ კი ბევრი რამ გაგვიგონია თქვენი ნიჭის შესახებ.
- სგანარელი – მართალია ბატონო, მე საუკეთესო შემის გუდურების შემკვრელი ვარ დედამიწის ზურგზე.
- ვალერიო – ო, ბატონო ჩემო.
- სგანარელი – მე თავს არ ვზოგავ და ჩემს ხელობაში უნაკლო ვარ.
- ლუკა – ბატონო ჩემო, მაგაში არ არის საქმე.
- სგანარელი – მაგრამ, ას გუდურას ორას სუდ ვყიდი.
- ვალერიო – გთხოვთ ნუ ვილაპარაკებთ მაგ საგანზე.
- სგანარელი – გარწმუნებთ რომ ნაკლებად ვერ მოგართმევთ.
- ვალერიო – ჩვენ ყველაფერი ვიცით.
- სგანარელი – თუ თქვენ ყველაფერი იცით, ისიც გეცოდინებათ რომ მე სწორედ ამ ფასად ვყიდი.
- ლუკა – ნუ კი დაგვცინი ბატონო...
- სგანარელი – მე სრულებითაც არ დაგვცინით, მე დაკლება არ შემიძლია.
- ვალერიო – გემუდარებით, სხვანაირად ვილაპარაკოთ.
- სგანარელი – სხვაგან უფრო იაფადაც იშოვნით, მაგრამ გუდუარაც არის და გუდურაც, ჩემი შეკრული გუდურები კი...
- ვალერიო – დავანებოთ თავი ბატონებო ამ ლაპარაკს.
- სგანარელი – გეფიცებით, სხვა ადგილას ასეთ გუდურაში ორჯერ მეტს გამოგართმევენ.
- ლუკა – ბატონო ჩემო. არ გეკადრებათ ეს თვალთმაქცობა,
- სგანარელი – არა, სინდისს ვფიცავარ სწორედ ამ ფასად ვყიდი, ძვირად დაფასება არ მიყვარს.
- ვალერიო – რა საჭიროა ბატონო რომ, თქვენისთანა ადამიანმა თავი შეიქციოს ასეთი თვალთმაქცობით, თავი დაიმციროს ასეთი

სწავლულ ლაპარაკით, ნუთუ ასეთ სწავლულ ადამიანს, ასეთ ექიმს, როგორც თქვენ ბრძანდებით, უნდა სურდეს ექვეყნისათვის თვალების ახვევა და თავის შესანიშნავი ნიჭის დამარხვა.

- სგანარელი** – ეს კაცი გიჟია?
ლუკა – გევედრებით ბატონო, ნუღარ თვალთმაქცობთ.
სგანარელი – რა თქვით?
ლუკა – სულერთია ეგ პამპულობა არ გაგივათ, ჩვენ ვიცით ის რაც ვიცით.
სგანარელი – როგორ, რა გინდათ ჩემგან, ვინა გგონივართ?
ვალერიო – ის ვინც ბრძანდებით, ცნობილი ექიმი.
სგანარელი – თქვენ თვითონ ხართ ექიმი, მე ექიმი არა ვარ და არც როდისმე ვყოფილვარ.

ლუკა – აი სწორედ ამაზეა გაგიჟებული, ბატონო ჩემო ნუ ისურვებთ კვლავ ამ ამბის უარყოფას, ნუ მიგვიყვანთ სავალალო

- უკიდურესობამდე.
სგანარელი – რა უკიდურესობამდე?
ვალერიო – ისეთ რამემდე რაც ჩვენთვისაც არასასიამოვნოა.
სგანარელი – ეშმაკსაც წაუღიხართ, რაც გინდათ ის ქენით, მე არა ვარ ექიმი და არც მესმის რა გინდათ ჩემგან.
ვალერიო – სხვა გაზა არ არის უნდა მივმართოთ იმ საშუალებას.
ლუკა – უნდა გაგბედოთ.
ვალერიო – ბატონო ჩემო, ბატონო კიდევ ერთი სიტყვა, გთხოვთ აღიაროთ ვინც ხართ.
სგანარელი – მოთმინებიდან გამოვდივარ.
ვალერიო – რა საჭიროა იმის უარყოფა რაც ყველამ იცის?
ლუკა – რად გინდა ეს ტაკიმასხრობა, რაში გესაჭიროება?
სგანარელი – ბატონებო ერთხელ და სამუდამოდ გეუბნებით მე სრულიადაც არ ვარ ექიმი.
ვალერიო – მაშ არ ხართ ექიმი?
სგანარელი – არა მეტქი გეუბნებით!
ლუკა – რადგან ეგრე გსურთ უნდა გაგბედოთ.
სგანარელი – ვაი, ვაი, პატივცემულნო ყველაფერი ვარ რაც კი გსურთ.
რობერტი – აი,აი, რა ამბავია აქ, თქვე ოხრებო როგორ შეიძლება კაცის ასეთი ცემა?
ლუკა – თქვენ რად ერევით სხვის საქმეში?
რობერტი – დამნაშავე ვარ.
ვალერიო – რა თქვენი საქმეა?
რობერტი – მართაღს ბრძანებთ.
ლუკა – რას ყოფთ ცხვირს სხვის საქმეში?
რობერტი – მე კრინტსაც აღარ დავძრავ.
ლუკა – საჭიროა და ვცემთ.
რობერტი – სულითა და გულით ბოდის ვიხდი, ეგრე მოიქეცით, სცემეთ,

გაწკეპლეთ, თუ გინდათ მეც მოგეხმარებით.

- ვალერიო** – ნუ ერევით სხვის საქმეში.
რობერტი – მე მინდა ყველაფერი ვიცოდე და ყველა საქმეში ჩავერიო.
ლუკა – თქვენ თავხედი ყოფილხართ.
რობერტი – მოვითხოვ პატივისცემას! იცით ვინ ვარ მე?
ლუკა – ვინ?
რობერტი – მეზობელი, ღირსეული მეზობელი. ცნობისმოყვარე მეზობელი. მოვითხოვ პატივისცემას.
სგანარელი – რა თქვენი საქმეა მცემენ თუ არა?
რობერტი – მე ცნობისმოყვარე მეზობელი ვარ.
ლუკა – თქვენ მართლაც თავხედი ყოფილხართ, ვალერიო ეს კაცი უნდა მოვიშოროთ.
რობერტი – ვაი,ვაი,ვაი მოვითხოვ პატივისცემას.
- სგანარელი** – ხომ გითხარით ციცერონმა სთქვა: “არამკითხე მოამბეო მიტყეპე და მიაგდეო”
ვალერიო – რად გვაიძულე ბატონო, რომ ძალადობისთვის მიგვემართა?
ლუკა – რად შეგვაწუხე და თავი გვაცემინე.
ვალერიო – გარწმუნებთ! მზად ვარ ათასჯერ ბოდიში მოვიხადოთ.
ლუკა – იცი რა, არც მე მსიამოვნებდა შენი ცემა. თავი ნუ მომიკვდება.
სგანარელი – ეს რა ეშმაკობაა პატივცემულ ღვთის გულისათვის ხუმრობთ თუ
- ორივე შეიშალეთ? რად გინდათ რომ მე ექიმი ვიყო?
ვალერიო – როგორ? თქვენ კიდევ უარზე დგახართ? თქვენ კიდევ უარყოფთ თქვენს ექიმობას?
სგანარელი – ეშმაკმაც წამიღოს თუ ექიმი ვიყო.
ლუკა – აბა ტყუილი ყოფილა? მაშ არა ხარ ექიმი?
სგანარელი – არა შენი ჭირი შემეყაროს. ვაი, ვაი, ვაი, კარგი პატივცემულო, კარგი რადგან თქვენ ასე გსურთ. მე ექიმი ვარ, მე ექიმიც ვარ, მე მეაფთიაქეც ვარ, თუ ეგრე გინდათ, ყველაფერზე თანახმა ვარ, ოღონდ ნუ მომკლავთ.
ვალერიო – აღტაცებული ვარ, რომ კვლავ გონივრული მსჯელობა დაიწყოთ.
ლუკა – მართლაც მახარებ როდესაც ეგრე ჭკვიანურად ლაპარაკობთ.
ვალერიო – სულით და გულით ბოდიშს ვიხდი.
ლუკა – მეც ბოდიში მომიხდია, რომ ეგრე თავისუფლად მეჭირა თავი.
სგანარელი – რა ამბავია ეგებ მე ვცდები? ეგებ მართლაც ექიმად გადავიქეცი, ჩემდა შეუმჩნეველად?
ვალერიო – ბატონო ჩემო, თქვენ არ ინანებთ, რომ აღიაროთ ვინცა ხართ, ნახავთ რომ კმაყოფილი დარჩებით.
სგანარელი – ოღონდ პატივცემულო, მითხარით ეგებ თქვენ თვითონ ცდებით, დამტკიცებუღია რომ მე ექიმი ვარ?
ლუკა – ჰო, რასაკვირველია.
სგანარელი – ღრმად დარწმუნებულნი?
ვალერიო – რასაკვირველია.
სგანარელი – ეშმაკმა წაიღოს თუ მე ეს მცოდნოდეს.

- გაღვრით** – როგორ არა! თქვენ მთელს ქვეყნიერებაში განთქმული ექიმი ბრძანდებით.
- სგანარელი ლუკა** – ოჰო,
– ექიმი რომელმაც აღარც კი მახსოვს რამდენი ავადმყოფი მოარჩინა.
- სგანარელი გაღვრით** – დახე, დახე.
– ერთი ქალი უკვე ექვსი საათი მკვდრად მიაჩნდათ, უკვე დასამარხად გაამზადეს, როდესაც რაღაც წვეთებით თქვენ ის გამოაბრუნეთ და ოთახში სიარულიც კი დააწყებინეთ.
- სგანარელი ლუკა** – ყოჩაღ!
– ერთმა პატარა თორმეტი წლის ბავშვმა სამრეკლოდან მიწაზე ტყაპანი გაადინა, სულ მთლად დაიმტვრა ის უბედური, თქვენ კი რაღაც მაღამოთი ფეხზე წამოაყენეთ და ისე გახადეთ რომ ასკინკილას თამაში დაიწყო.
- სგანარელი გაღვრით** – თუ ღმერთი გწამს.
– მერწმუნეთ ბატონო, თქვენ კმაყოფილი დარჩებით და ყველაფერს მიიღებთ რაც კი მოგესურვებათ, თუ ნებას დაგვრთავთ, მიგაცილოთ იქ სადაც თქვენი წაყვანა გვინდა.
- სგანარელი გაღვრით** – მე მივიღებ ყველაფერს რაც კი მომესურვება.
– დიას,
– აბა მე ექიმი ვარ, მაშინ დამავიწყდა,ახალა კი გავიხსენე. რაშია საქმე სად უნდა წავიდეთ?
- სგანარელი ლუკა** – ჩვენ მიგაცილებთ, საქმე იმაშია რომ უნდა უექიმოთ ერთ ახალგაზრდა ქალს რომელმაც ლაპარაკის უნარი დაჰკარგა.
- სგანარელი გაღვრით** – ჩემმა მზემ მე კი არ მიპოვნია და?
– ხუმრობა გყვარებით, წავიდეთ ბატონო.
- სგანარელი გაღვრით** – ექიმის ტანისამოსი რომ არ მაცვია?
– ჩვენ გიშოვნით.
- სგანარელი ლუკა** – აბა შეებით! ასე ბრძანებს მედიცინა!
– თუ ღმერთი გწამს, ასეთი ექიმი მომწონს, ისეთი მასხარაა, რომ აშკარად საქმეს გააკეთებს.

2 მოქმედება

- გაღვრით** – ბატონო მე მჯერა, რომ თქვენ კმაყოფილი იქნებით, ჩვენ მოგიყვანეთ საქვეყნოდ ცნობილი ექიმი.
- ლუკა** – ეს ისეთი ვინმეა რომ ყველას გააცურებს, სხვა ექიმები იმის ღირსნიც კი არ არიან რომ ლუციინდას ფეხსაცმლები გახადონ.
- გაღვრით** – მკურნალობით სასწაულებს ახდენს.
- ლუკა** – მან მკვდრებიც კი გააცოცხლა.
- გაღვრით** – როგორც მოგახსენეთ ცოტათი ახირებული კაცია. ხანდახან გონება არ ემორჩილება და მაშინ თავის-თავი

ვერ უცვნია.

ლუკა — მართალია, მასხრობა უყვარს და თქვენი რისხვა არ შემეყაროს, მაშინ ჭკუაზე გადამცდარსაც კი გავს.

ვალერიო — მაგრამ ის ადამიანი თვით მეცნიერების განსახიერებაა და ხშირად უღრმეს აზრებს წარმოსთქვამს ხოლმე.

ლუკა — როცა ხალისი მოუვა ისე ლაპარაკობს თითქოს წიგნში კითხულობსო.

ვალერიო — მან დიდი სახელი გაითქვა და დიდძალი ხალხიც მიიზიდა.

ჟერონტი — მე დიდად მსურს მისი ნახვა, შემოიყვანეთ მალე, მალე.

ჟაკლინა — ჩემის აზრით ეს ექიმიც იმას გააკეთებს, რასაც სხვა ექიმები აკეთებენ, ეს ხომ ისევ წყლის ნაყვა იქნება. მე რომ მკითხვით, საუკეთესო წამალი თქვენი ქალიშვილისათვის ახალგაზრდა და ლამაზი ქმარია.

ჟერონტი — ოხ, ძიძავ! ჩემო ძვირფასო! ნუ ერევით ჩემს საქმეებში.

ლუკა — გაჩუმდი ჩემო მეუღლე, ჟაკლინა! ნუ ყოფ ცხვირს იქ სადაც საჭირო არ არის.

ჟაკლინა — მე ათასჯერ მითქვამს და გაგიმეორებთ, რომ ამ ექიმებისაგან არაფერი არ გამოვა. თქვენს ქალს სულ სხვა რამ

ესაჭიროება, ქმარი

ისეთი უებარი მაღამოა, რომელიც ქალების ყველა

სნეულებას

განკურნავს.

ჟერონტი — ახლა ჩემს ქალს ისეთი სენი აქვს, რომ არავინ არ მოინდომებს მის

ცოლად წაყვანას, განა თვითონ არ ურჩობდა როდესაც მე

მისი

გათხოვება გადავწყვიტე?

ჟაკლინა — რასაკვირველია ურჩობდა! თქვენ ისეთ კაცზე ათხოვებთ, რომ არა თუ ლუცინდა, მეც კი არ გავყვებოდი ცოლად,

თან

სრულებით არ უყვარს. რად არ დასთანხმდით, წაჰყოლოდა

ლევანდრს,

რომელმაც მისი გული მოინადირა. მაშინ თქვენი ქალი

მორჩილი

იქნებოდა. მე სანაძლეოს დავდე, რომ ლევანდრი ახლაც

წაიყვანს

თქვენს ქალს, როგორი ავადმყოფიც არ უნდა იყოს, თუ

თქვენი

თანხმობა იქნება.

ჟერონტი — ეს ლევანდრი მისი შესაფერისი არ არის. იმას იმდენი ქონება არ აქვს,

როგორც მეორეს.

ჟაკლინა — სამაგიეროდ მდიდარი ბიძა ჰყავს და მისი მემკვიდრეა.

ჟერონტი — ო, მოსალოდნელი სიმდიდრე ზღაპარია და სხვა არაფერი, ნაღდი ის

სიმდიდრეს,
 კბილების
ჟაკლინა
 ცხოვრება
 ჩვეულება
 პატრონია ქალი,
 ტომასს
 ვიდრე
 როგორც
 მაგალითია

არის, რაც ხელში გიჭირავს. მეტად სახიფათოა მიენდო
 რომელიც სხვის ხელშია. სიკვდილი ყოველთვის არ შეისმენს
 მემკვიდრეების ხვეწნა-ვედრებას და კარგა ხანს მოუნდება
 კრაჭუნი იმას, ვინც სხვის სიკვდილს მოელის.
 – მე კი ყოველთვის გამიგონია, რომ ცოლქმრობაში ბედნიერი
 სიმდიდრეს სჯობია. მამებსა და დედებს მუდამ ეს წყეული
 აქვთ. დაიწყებენ კითხვას რისი პატრონია ვაჟი, რისი
 ჩემმა ნათლია პეტრემ თავისი ქალი სიმონეტა მსუქან
 მიათხოვა, იმიტომ რომ იმას უფრო დიდი ვენახი ქონდა
 ახალგაზრდა რობენსს. საცოდავი გოგო ისე გაყვითლდა
 კომში და შემდეგ ვერაფერმა ვერ უშველა, ეს საუცხოო
 თქვენთვის ჩემო ბატონო.
ჟერონტი – კმარა, ქალბატონო ძიძავ, თვენ ბევრი იყბედეთ, გთხოვთ
 გაჩუმდეთ, ნუ
 მანერვიულებთ. ძუძუ, ძუძუ არ დაიშროთ. ლუკა ძიძა
 დააწყენარე!
ლუკა – ჟაკლინა! გაჩუმდი შე უდიერო შენა, ბატონს მეტი საქმე არა
 უნდა აქვს რომ შენი ყბედობა მოისმინოს, მან უკეთ იცის როგორ
 მოიქცეს, მიდი აწოვე ძუძუ შენს ბავშვს და თავი დაანებე
 მსჯელობას,
 ბატონი ჭკვიანიც არის, კეთილიც და იცის როგორ
 გააბედნიეროს
 თავისი ქალიშვილი.
ჟერონტი – ნელა, ნელა!
ლუკა – ბატონო მე მინდა ჩემს ცოლს ჭკუა ვასწავლო და თქვენი
 პატივისცემა
 შევაგნებინო.
ჟერონტი – კი მაგრამ, ეგ მოძრაობა სრულებით ზედმეტია.
ვალერიო – მოემზადეთ ბატონო, აი ჩვენი ექიმიც მოვიდა.
ჟერონტი – მე აღტაცებული ვარ ბატონო ექიმო რომ ჩვენს სახლში
 გხედავთ,
 თვენ ჩვენთვის დიდად საჭირო ბრძნდებით.
სგანარელი – ჰიპოკრატემ სთქვა. . . რომ ჩვენ ორთავეს ქუდი თავზე უნდა
 გვეხუროს.
ჟერონტი – ჰიპოკრატემ სთვა ეგა?
სგანარელი – დიახ.

- ჟურნალი – გთხოვთ მიბრძანოთ, თავისი წიგნის რომელ ნაწილში სთქვა
ეგა?
- სგანარეული – ქულების ნაწილში.
- ჟურნალი – თუ ეს ჰიპოკრატეს სიტყვაა? ეგრე უნდა მოვიქცეთ.
- სგანარეული – ბატონო ექიმო, მე გავიგე საოცარი ამბავი.
- ჟურნალი – ღვთის გულისათვის ვის ელაპარაკებოდით?
- სგანარეული – თქვენ.
- ჟურნალი – მე არ ვარ ექიმი.
- სგანარეული – თქვენ ექიმი არ ხართ?
- ჟურნალი – გარწმუნებთ რომ არა.
- სგანარეული – ნამდვილად?
- ჟურნალი – ნამდვილად. ვაი, ვაი, ვაი,
- სგანარეული – ახალ თქვენ ექიმი ხართ, მეც ამის გარდა სხვა დიპლომი
არასოდეს

არ მქონია.

- ჟურნალი – ეს ვინ ეშმაკი მომგვარეთ?
- ვალერიო – ხომ მოგახსენეთ რომ ეს უცნაური ექიმია მეთქი.
- ჟურნალი – კი მგრამ, მე პანდურის კვრით გავაგდებ ამ უცნაურობისთვის.
- ლუკა – ნუ აქცევთ ყურადღებას, ბატონო ამ უბრალო ხუმრობას.
- ჟურნალი – მე ასეთი ხუმრობა არ მომწონს.
- სგანარეული – უკაცრავად ბატონო ბოდის ვიხდი ასეთი თავისუფალი
ქცევისათვის.
- ჟურნალი – ბატონო გთხოვთ მიმსახუროთ.
- სგანარეული – მე ძალიან მწყინს.
- ჟურნალი – არაუშავს . . .
- სგანარეული – ჯოხით რომ. . .
- ჟურნალი – არ მტკენია.
- სგანარეული – მქონდა პატივი თქვენ გამელახეთ. . .
- ჟურნალი – ნუ ვილაპარაკებთ მაგაზე. მე ბატონო, ქალიშვილი მყავს,
რომელსაც უცნაური სენი შეეყარა.
- სგანარეული – მე დიდად მიხარია ბატონო რომ თქვენ ქალიშვილს უცნაური
სენი

შეეყარა, გულით მწადია რომ თქვენც და მთელს თქვენს

ოჯახს

შეეყაროს უცნაური სენი და დასჭირდეს ჩემი სამსახური,

რომ

დაგიმტკიცოთ ჩემი თქვენდამი რთგულეობა.

- ჟურნალი – მე დიდად დავალებული ვარ თქვენგან ასეთი
შემატკივრობისათვის.
- სგანარეული – გარწმუნებთ რომ სულით და გულით თქვენთან ვარ.
- ჟურნალი – დიდ პატივს მღებთ.
- სგანარეული – რა ქვია თქვენს ქალს?
- ჟურნალი – ლუცინდა.
- სგანარეული – ლუცინდა, ლუ-ლუ-ლუცინდა, კარგი სახელია
მკურნალობისთვის.

ლუცინდა.

ჟურნალი
სგანარელო
ჟურნალი
სგანარელო
საძიდაო

- წავალ და ვნახავ რას აკეთებს.
- ვინ არის ეს მოწიფული ქალი?
- ეს ჩემი პატარა ვაჟიშვილის ძიდაა.
- ოხ, ძიდავ, ძიდავ, ჩემი მეცნიერება მონამორჩილია თქვენი

ცუბრუმელა,
წამლები, მთელი

კვების წესებისა, ნეტავ მე ვიყო ის პატარა ბედნიერი
რომელიც წოვს ამ საუცხოო წყაროდან, ყველაჩემი
ჩემი სწავლულობა და ნიჭი მზადაა თქვენს სამსახურად

და . . .
ლუკა
ჩემს ცოლს

- თქვენის ნებრთვით, ბატონო ექიმო, გთხოვთ დაანებოთ
თავი!

სგანარელო
ლუკა
სგანარელო
რომ

- როგორ იგი თქვენი ცოლია?
- დიახ.
- მართლა? მე ეს არ ვიცოდი და ახლა მოხარული ვარ,

ლუკა
სგანარელო

- შემიძლია ორივეს დაგიმტკიცოთ ჩემი სიყვარული.
- წყნარად, წყნარად იყავით.
- გარწმუნებთ აღტაცებული ვარ თქვენი ცოლქმრობით, უნდა
მომელოცა რომ თქვენისთანა ქმარი ჰყავს და თქვენც

უნდა
და

მოგილოცოთ, რომ შეგიერთავთ ასეთი, ჭკვიანი, ლამაზი
ახოვანი ქალი.

ლუკა
სგანარელო

- ე, შე გაიძვერა, გეუბნები გეყოფა მეთქი ქათინაურები.
- რატომ არ გინდათ რომ თქვენთან ერთად დავტკბე ასეთი
მშვენიერი საზოგადოებით.

ლუკა
უკაცრავად.
სგანარელო

- ჩემთან რამდენიც გინდა, ჩემს ცოლთან კი ნურას
- ერთნაირად მიხარია ორივეს ბედნიერება და თუ თქვენ
გკოცნით ჩემი სიხარულის დასამტკიცებლად, იმასაც ვკოცნი

ნიშნად

ჩემი სიხარულისა.

ლუკა
ჟურნალი
სგანარელო
ჟურნალი
სგანარელო
ჟურნალი
სგანარელო
გავსინჯო

- ეი, ექიმო, შე აბეზარო, გაანებე თავი ამ ყბედობას.
- პატივცემულო ექიმო! ახლავე ჩემს ქალს აქ მოგიყვანთ.
- მე მას მოველი შეიარაღებული მთელი ჩემი არტილერიით.
- სად არის იგი?
- აი აქ.
- ძალიან კარგი,
- რადგან მე მთელი ოჯახი მაინტერესებს, ამიტომ მე უნდა

ლუკა

- თქვენი ძიძის რძე და დავათვალიერო მისი მკერდი.
- აბა, აბა ჩვენ ეს სრულებითაც არ გვჭირდება.

სგანარელი

- ექიმი მოვალეა გასინჯოს ძიძის მკერდი.

ლუკა

- ასეთი მოვალეობა ჩემო ბატონო არ არსებობს.

სგანარელი

- ბედავ და მედიცინას წინააღმდეგობას უწევ, გაეთრიე აქედან. ინკვიზიციის კოცონი არ აგცდება!

ლუკა

- ფეხებზე მკიდია შენი მედიცინა. დამწვან,დამწვან!

სგანარელი

- მე შენზე ციებცხელება მოვავლინე.

ჟაკლინი

- წადი გამეცალე, პატარა ხომ არ ვარ, რომ ჩემს თავს ყური

არ

ვუგდო, თუ ისეთი რამ გააკეთა რაც წესი არ არის ...

ლუკა

- მე არ მინდა რომ ხელი გიფათუროს.

სგანარელი

- ერთი ამას უყურე, რომ ეჭვიანობს კიდეც.

ჟერონტი

- აი ჩემი ქალიც.

სგანარელი

- ეს არის ავადმყოფი?

ჟერონტი

- დიახ, მე ქალიშვილი ერთი მყავს, ჩემს მწუხარებას

სახლვარი არ

ექნება თუ ეგ არ განიკურნება.

სგანარელი

- თავს მოუაროს, როგორ შეიძლება რომ არ განიკურნოს.

ჟერონტი

- დაბრძანდით.

სგანარელი

- იფ, რა მადის მომგვრელი ავადმყოფობაა ჩემმა მზემ, ვერავინ

ვერ

დაიწუნებს.

ჟერონტი

- თქვენმა სიტყვებმა ჩემი ქალი გააცინეს.

სგანარელი

- როდესაც ექიმი ავადმყოფს გააცინებს, ეს საუკეთესო

ნიშანია, აბა

რაშია საქმე რა მოგივიდათ? სად გრძნობთ ტკივილს?

ლუცინდა

- ჰან, ჰინ, ჰუნ, ჰან.

სგანარელი

- რა მინდაო?

ლუცინდა

- ჰან, ჰინ, ჰონ.

სგანარელი

- ეს რა ეშმაკური ენაა?

ლუცინდა

- ჰან, ჰინ, ჰონ.

სგანარელი

- ჰან, ჰინ, ჰონ, ჰან, ჰან,

ლუცინდა

- ჰან, ჰინ, ჰონ, ჰან.

ჟერონტი

- სწორედ ეგ არის ექიმო, მისი ავადმყოფობა, ჩემი ქალი

დამუნჯდა

და აქამდე ვერ გავიგე მისი დამუნჯების მიზეზი,

სწორედ ამ

მდგომარეობამ გადამადებინა მისი ქორწილი.

სგანარელი

- რატომ?

ჟერონტი

- ის კაცი ვინც ირთავს მოელის მის გამოჯანსაღებას, რომ

შემდეგ

დაქორწინდნენ.

სგანარელი

- ვინ არის ეს სულელი, რომელსაც არ უნდა რომ მისი

ცოლი მუნჯი

იყოს? ნეტა ჩემი ცოლი დამუნჯდეს და არასდროს არ

მოვარჩენდი.

ჟერონტი

- თქვენ კი ექიმო გთხოვთ იხმართო ყოველი საშუალება და

შეამსუბუქოთ მისი ავადმყოფობა.

სგანარელი

– ფიქრი ნუ გაქვთ ეს მითხარით? განა ეგ ავადმყოფობაა?

ჟერონტი

– დიახ ბატონო.

სგანარელი

– ძლიერ ტკივილს გრძნობს?

ჟერონტი

– დიახ.

სგანარელი

– ძალიან კარგი, თქვენ რომ იცით იქ ხომ დადის?

ჟერონტი

– დიახ.

სგანარელი

– უხვად?

ჟერონტი

– მაგის შესახებ არაფერი არ ვიცი.

სგანარელი

– ის . . . ნაწარმოები. . . კარგი შესახედავია?

ჟერონტი

– ვერ გეტყვით სწორედ.

სგანარელი

– მომეცით თქვენი ხელი, აი თქვენი მაჯისცემაც

მოწმობს რომ თქვენი ქალი მუნჯია.

ჟერონტი

– დიახ ექიმო, სწორედ ეგ არის მაგის სატკივარი, თქვენ

უკეთ მიხვდით.

სგანარელი

– მაშ, მაშ.

ჟაკლინი

– ნახეთ რა უცებ მიაგნო ავადმყოფობას.

სგანარელი

– ჩვენ დიდი ექიმები უცებ ვხვდებით რაშია საქმე, ვინმე უვიცი დაიბნეოდა და გეტყოდათ ეს ასეაო, ეს ისეაო, მე კი ერთი შეხედვით გამოვიცანი და გაცნობებთ თქვენი ქალი მუნჯია!

ჟერონტი

– კი მაგრამ მე მინდა რომ გამაგებინოთ საიდან მოვიდა ეს სიმუნჯე?

სგანარელი

– მაგაზე ადვილი არაფერია ეს იქიდან მოვიდა რომ ლაპარაკის უნარი დაკარგა.

ჟერონტი

– ძალიან კარგი მაგრამ, მიბრძანეთ რა მიზეზით დაკარგა ლაპარაკის უნარი?

სგანარელი

– ყველა ჩვენი დიდი მწერლები თქვენ გეტყვიან რომ ეგ ენის მოძრაობის გაძნელებაა.

ჟერონტი

– ხო და . . . თქვენ რა აზრის ხართ მათი ენის მოძრაობის გაძნელების შესახებ?

სგანარელი

– არისტოტელემ მაგის შესახებ დიდად საგულისხმო რამეები სთქვა.

ჟერონტი

– ალბათ, ალბათ...

სგანარელი

– ო, იგი დიდი ადამიანი იყო.

ჟერონტი

– ცხადია.

სგანარელი

– დიდი ადამიანი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ეგ ადამიანი, ჩემზე აი ამდენით მაღალი იყო, მაგრამ დაუბრუნდეთ ჩემს დასკვნას, მე ვფიქრობ რომ ენის მოძრაობის გაგრძელების მიზეზი არის გარკვეული სითხე, რომელსაც ჩვენ მეცნიერები მაგნე სითხეს უწოდებთ. მაგნე, ესეიგი. . . მაგნე სითხეს უწოდებთ მაგნე . . . ესეიგი. . . მაგნე სითხე, ა, თქვენ იცით ლათინური?

ჟერონტი

– არც ერთი სიტყვა.

სგანარელი

– თქვენ არ იცით ლათინური?

ჟერონტი

– არა.

სგანარეული
ჟურონტი
ჟაკლინა
ლუკა
სგანარეული

- კაპრიციუს, არტი კატალამუს, სიმულიარიტენ.
- ახ, რად არ ვისწავლე ლათინური.
- რა ნასწავლი კაცია...
- მართლაც! ისე მშვენიერია რომ ვერაფერი გავიგე.
- მაშასადამე, ის ანაორთქლი რომელზედაც მოგახსენებთ გადადის მარცხენა მხარიდან, სადაც ღვიძლია, მარჯვენა მხარისაკენ იქითკენ სადაც გული მდებარეობს, ხდება ისე რომ ფილტვში რომელსაც ლათინურად უწოდებთ, ბარმიანუს, აქვს კავშირი ტვინთან, რომელსაც ეწოდება ნაზმუს, ჩაზნექილი ძარღვის საშუალებით რომელსაც ებრაულად ეწოდება კუბილე, აი სწორედ ეს არის მიზეზი რომ თქვენი ქალი დამუნჯდა.

ჟაკლინა
ლუკა
ჟურონტი

- ოხ, რა კარაგად გვიამბო ყველაფერი ჩემო ბატონო.
- რატომ მეც არ მაქვს ეგრე მოქნილი ენა...
- მართლაც თქვენ მშვენივრად ახსენით ყველაფერი, მაგრამ ერთი რამ გამიკვირდა, გულისა და ღვიძლის მდგომარეობა. მე მგონია რომ თქვენ მათ ადგილები შეუცვალეთ, რადგან გული ხომ მარცხენა მხარეს მდებარეობს, ღვიძლი კი მარჯვნივ?

სგანარეული

- ჰო უწინ ეგრე იყო, მაგრამ ახლა ჩვენ ყველაფერი შევცვალეთ და ახლა მედიცინაში სრულიად ახალი მეთოდით ვხელმძღვანელობთ.

ჟურონტი
სგანარეული

- ეგ არ ვიცოდი, გთხოვთ მაპატიოთ ჩემი უვიცლობა...
- არა უშავს, თქვენ სრულებით არა ხართ ვალდებული ჩვენსავით სწავლული იყოთ.

ჟურონტი

- რასაკვირველია, მაგრამ, როგორ ფიქრობთ ექიმო რა ზომა უნდა მივიღოთ ამ ავადმყოფობის წინააღმდეგ?

სგანარეული
ჟურონტი
სგანარეული

- რა ზომა უნდა მივიღოთ?
- დიახ.
- ჩემის აზრით ლოგინში უნდა ჩააწვინოთ და წამლის მაგიერ უნდა მისცეთ რაც შეიძლება დიდი რაოდენობით ღვინოში დამბალი პური.

ჟურონტი
სგანარეული

- ეს რა საჭიროა ექიმო?
- რადგან ღვინოში დამბალ პურს აქვს ერთგვარი სიმპატიკური ძალა აალაპარაკოს ადამიანი, განა თქვენ არ იცით, რომ თუთუყუშებს მარტო მაგ საჭმელს აძლევენ და სწორედ როგორც კი შეჭამენ მაშინვე ლაპარაკს იწყებენ, ძიძა ძიძა, ძიძა.

ლუკა
ჟურონტი

- ხომ ვამბობდი თუთიყუშების ექიმია მეთქი.
- სრული სიმართლეა, ახ დიდო ადამიანაო. მალე შეუტანეთ რაც შეიძლება მეტი ღვინოში დამბალი პური.

სგანარეული

- საღამოთი მოვალ და ვნახავ რა მდგომარეობაში იქნება ვადამყოფი, დაიცადეთ ბატონო ჩემო, თქვენს ძიძას წამალი უნდა გამოუწერო.

ჟაკლინა

- ვის?მე?ჩემსავით ჯანმრთელი ამ ქვეყანაზე არავინ არის.

- სგანარელი – მით უარესი ძიძავ, ასეთი გადაჭარბებული ჯანმრთელობა საშიშია და ზედმეტი არ იქნება წონასწორობისათვის დუნდულებიდან ცოტათი სისხლი გამოგიშვავთ და შემარბილებელი ოყნა გაგიკეთოთ.
- ჟერონტი – ამ მკურნალობის კი ვერაფერი გამიგია, ბატონო ექიმო რად უნდა გამოუღოთ დუნდულებიდან სისხლი, თუ ქალი ავად არ არის?
- სგანარელი – სწორედ ასეთი ზომების მიღებაა დიდად სასარგებლო, სანამ ავად გახდება, დუნდული უნდა ჩაუწუტოდ და სისხლი უნდა გამოუღოთ.
- ჟაკლინა – ვერ მოგართვეს, სულელებითაც არ მინდა ჩემი სხეული აფთიაქის საწყობად გავხადო.
- სგანარელი – თქვენ წამლებს გაუბრბით, მაგრამ მე ჭკუაზე მოგიყვანთ, ინკვიზიციის კოცონი არ აგცდებათ ნება მომეცით გამოგეთხოვოთ.
- ჟერონტი – გთხოვთ ერთი წუთით დამაცადოთ.
- სგანარელი – რა გნებავთ?
- ჟერონტი – ფული უნდა მოგართვათ ექიმო.
- სგანარელი – მე არ ავიღებ ბატონო!
- ჟერონტი – ბატონო ექიმო.
- სგანარელი – ტყუილად ნუ სწუხდებით.
- ჟერონტი – გემუდარებით.
- სგანარელი – ხომ არ მეხუმრებით?
- ჟერონტი – აი საქმეც გაკეთებულია.
- სგანარელი – მე ამის წინააღმდეგი ვარ. მე ფულისათვის არ ვექიმობ.
- ჟერონტი – მჯერა, მჯერა.
- სგანარელი – ოჰო, კარგა მძიმეა.
- ჟერონტი – დიას, ექიმო!
- სგანარელი – მე ანგარებიანი ექიმი არა ვარ.
- ჟერონტი – ეგ მე კარგად ვიცი.
- სგანარელი – ფულის ინტერესი არასდროს მქონია
- ჟერონტი – ეს მე სრულებითაც არ მიფიქრია.
- სგანარელი – ძიძავ, ძიძავ, ძიძავ.

- ლევანდრი – დიდი ხანია რაც მე გელით ბატონო ექიმო გვეედრებით დამეხმარეთ.
- სგანარელი – საძგელი მაჯისცემა გაქვთ.
- ლევანდრი – მე არ ვარ ავად ექიმო, თქვენთან სულ სხვა რამისათვის მოვედი.
- სგანარელი – თქვე დალოცვილო რატომ თავიდანვე არ იტყვიით რომ ავად არ ხართ?
- ლევანდრი – არა, ორი სიტყვით ყველაფერს გიამბობთ, მე მქვია ლევანდრი, მიყვარს ლუცინდა, რომელიც ესესაა გასინჯეთ, მამამისი ცუდადაა განწყობილი ჩემდამი,
- სგანარელი – ღარიბი ხარ?
- ლევანდრი – დიას და მე ამიტომ აკრძალული მაქვს მისი ნახვა,

გთხოვთ შემოწყოთ ხელი, რომ მოვახერხო, ჩემი განზრახვის შესრულება, უთხრა ჩემს სატრფოს ორი სიტყვა, რომელზედაც სავსებით დამოკიდებულია ჩემი სიცოცხლე და ბედნიერება.

სგანარელი – ღარიბებთან კავშირი არ მაქვს. როგორ, თქვენ ბედავთ და მომმართავთ რომ სატრფიალო საქმეებში დაგეხმაროთ, ექიმის მაღალი ღირსება დავამცირო მაგგვარი დავალებით?

ლევანდრი – გთხოვთ ნუ ხმაურობთ.

სგანარელი – მსურს და დავიყვირო, თქვენ თავხედი ყოფილხართ.

ლევანდრი – ჩუმად ღვთის გულისათვის.

სგანარელი – კაღნიერი.

ლევანდრი – გემუდარებით.

სგანარელი – მე თქვენ გიჩვენებთ, რომ ასეთი კაცი არა ვარ და როდესაც თქვენ მე მომართავთ. . მე თქვენს შესახებ არ ვლაპარაკობ, რადგან თქვენ პატიოსანი კაცი ბრძანდებით, მე მოხარული ვიქნები სამსახური გაგიწიოთ.

ლევანდრი – უნდა იცოდეთ ბატონო ექიმო, რომ ის ავადმყოფობა, რომელსაც თქვენ მკურნალობთ, გამოგონილი ავადმყოფობაა, ექიმებმა ყველანაირად გასინჯეს ლუცინდა, ზოგმა მისი ავადმყოფობა ტვინს მიაწერა, ზოგმა შიგნეულობას, ზოგმა ღვიძლს, მაგრამ ის კი ვერ გაიგეს რომ ამ ავადმყოფობის ჭეშმარიტი მიზეზი სიყვარულია, ლუცინდამ გამოიგონა ეს ავადმყოფობა, რომ როგორმე თავი დაადწიოს მისთვის აუტანელ ქორწინებას.

სგანარელი – ბატონო ჩემო, ამ თქვენი სიყვარულის ამბავმა გამოიწვია ჩემში რაღაც იღუმალის ნაზი თანაგრძნობა, მე არ დავიშურებ მთელს ჩემს მედიცინას და ავადმყოფი ან მოკვდება ან თქვენი იქნება.

ლევანდრი – მე მგონია, ბატონ ჟერონტის რომ მეაფთიაქე ვეგონები. ტანსაცმლის ეს ცვლილება საკმარისი უნდა იყოს, რომ მას უცნობი ვინმე ვეგონო.

სგანარელი – რასაკვირველია.

ლევანდრი – ახლა თქვენ უნდა მასწავლოთ ხუთი-ექვსი პრტყელი ლათინური სიტყვა, რომ სწავლული კაცის იერი მივიღო.

სგანარელი – ბონუს- ბონა – ბონუმ ღუეს. დაანებეთ თავი. ეს სრულებითაც არ არის სავალდებულო, ტანსაცმელიც საკმარისია. მეც ხომ მაგ საქმეში თქვენზე მეტი არა გამეგება რა.

ლევანდრი – როგორ?

სგანარელი – მათ ძალად გამხადეს ექიმი, მიუხედავად ჩემი წინააღმდეგობისა, მეც გადავწყვიტე გავხდე ექიმი. ჩემის აზრით ეს საუკეთესო ხელობაა, ცუდი ნამუშევრისთვის პასუხს არავინ გვაგებინებს. ისე ვჭრით და ისე ვკერავთ როგორც მოგვესურება. როდესაც ხარაზი ფეხსაცმლის კერვის დროს ტყავს გააფუჭებს, მან სამაგიერო

უნდა გადაუხადოს, აქ კი ადამიანს გააფუჭებ ისე, რომ არაფერს გადაიხდი. შეცდომა ჩვენთვის არ არსებობს და დამნაშავე ყოველთვის ის არის ვინც კვდება. ამ პროფესიის ღირსება იმაშია რომ გარდაცვლილებს ახასიათებს იშვიათი რამ – თავშეკავება და ზრდილობა. არასოდეს არ მომხდარა, რომ მკვდარმა უჩივლოს ექიმს, რომელმაც იგი სიციცხლეს გამოასალმა.

ლენდრი – დიახ, გარდაცვლილები ამ შემთხვევაში დიდად პატიოსანი ხალხია.

სგანარელი – ჩემო ძვირფასო როგორ მეცოდები, რომ ასეთი ბუზღუნა და საზიზღარი ქმარი გყავს.

ჟერონტი – ეი, ლუკა! აქ ექიმი ხო მარ გინახავს?

ლუკა – ეშმაკმა წაიღოს! ექიმიც ვნახე და ჩემი ცოლიც.

ჟერონტი – ახლა სად იქნება?

ლუკა – არ ვიცი! მე კი მინდა ქვესკნელში ჩავარდეს.

ჟერონტი – გადი ნახე როგორ არის ჩემი ქალიშვილი. ა, ბატონო ექიმო, მე ეს ესაა გკითხულობდი, სად ბრძანდებოდით?

სგანარელი – მე თქვენს ეზოში ზედმეტი სითხისგან ვთავისუფლდებოდი. როგორ არის ავადმყოფი?

ჟერონტი – თქვენი წამლის შემდეგ უარესად გახდა.

სგანარელი – მით უკეთესი, ეს იმას ნიშნავს, რომ წამალმა გასჭრა.

ჟერონტი – კი მაგრამ, თუ ისევ გავაგრძელებთ მეშინია სული არ შეეხუთოს.

სგანარელი – მაგის შიში ნუ გექნებათ. მე ისეთი წამალი ვიცი, რომ ყველაფერს

განკურნავს. დაველოდოთ აგონიას და მაშინ ნახავთ.

ჟერონტი – ვინ არის ეს კაცი? რად მოიყვანეთ?

სგანარელი – ეს არის ..

ჟერონტი – ვინ არის ...

სგანარელი – აი, ვისაც ...

ჟერონტი – ვინ?

სგანარელი – ვინც ესაჭიროება თქვენს ქალიშვილს.

ჟაკლინა – ბატონო, აი თქვენს ქალიშვილს სურს ცოტა გაიარ-გამოიაროს.

სგანარელი – გაიარ-გამოიაროს ეს მისთვის სასარგებლოა, მიბძანდით ბატონო მეაფთიაქე, გაუსინჯეთ ავადმყოფს მაჯა, შემდეგ კი ვიმსჯელოთ მისი ავადმყოფობის შესახებ. ბატონო ჩემო ექიმებს შორის აღიძრა მეტად დიდი მნიშვნელოვანი საკითხი: ქალების განკურნება უფრო ადვილია თუ კაცების. ზოგი ამბობს არა ზოგი ამბობს ჰო, მე კი ვიტყვი ჰო და არა.

ჟერონტი – გაიგონეთ ჩემმა ქალიშვილმა დაილაპარაკა, ო, წამლის სასწაულებრივო ძალავ. ო, დიდებულო ექიმო რა დავალებული ვარ თქვენგან. ბატონო ექიმო ამ განსაცვიფრებელი განკურნებისათვის არ ვიცი რით უნდა გცეთ პატივი.

სგანარელი – მართლაც ამ ავადმყოფობამ ბევრი შრომა დამახარჯვინა.

ლუცინდა – მე არასოდეს შემიძლია უდალატო ჩემს გრძნობებს. დიახ მამაჩემო, მე კვლავ დამიბრუნდა ლაპარაკის უნარი, ისევ ავმეტყველდი იმისათვის რომ გითხრათ არასდროს არ

გაყვები სხვას გარდა ლენდრისა და უნაყოფოდ დარჩება
თქვენი სურვილი ბებერ ჰორასს მიმათხოვოთ.

ჟერონტი – მაგრამ?

ლუცინდა – არაფერს არ ძალუძს შემაცვლევინოს ჩემი გადაწყვეტილება.

ჟერონტი – როგორ?

ლუცინდა – ტყუილ-უბრალოდ ნუ წამომიყენებთ ღრმა მოსაზრებებს.

ჟერონტი – თუ რომ ...

ლუცინდა – თქვენი მსჯელობა ამაოდ ჩაივლის.

ჟერონტი – მე ...

ლუცინდა – ჩემთვის ეს გადაწყვეტილი საქმეა.

ჟერონტი – მაგრამ ...

ლუცინდა – მამობრივ უფლებას არ ძალუძს ჩემი ნების წინააღმდეგ
გამათხოვოს.

ჟერონტი – იგი ...

ლუცინდა – ჩემი გული ვერ დაემორჩილება ასეთ ტირანიას.

ჟერონტი – ეს ხომ...

ლუცინდა – მე მონასტერში დავიმარხავ თავს და არ გაყვები
ცოლად კაცს, რომელიც არ მიყვარს.

ჟერონტი – მაგრამ?

ლუცინდა – არა, არას გზით, არასოდეს, ეს გადაწყვეტილია.

ჟერონტი – ოი, როგორი სისწრაფეა სიტყვებისა. შეუძლებელია მისი
შეჩერება. ექიმო გთხოვთ ისევ დაამუნჯოთ.

სგანარელი – ეს უკვე შეუძლებელია, მე მხოლოდ ერთი რამ შემიძლია,
თუ გინდათ თქვენ დაგაყრუებთ.

ჟერონტი – მადლობას გიძღვნი. რატომ არ ფიქრობთ ...

ლუცინდა – არა, თქვენი დარიგება სრულებით არ იმოქმედებს ჩემს
გულზე.

ჟერონტი – შენ დღეს საღამოსვე გაყვები ცოლად ჰორასს.

ლუცინდა – მე უფრო ადრე სიკვდილს გაყვები ცოლად.

სგანარელი – შეჩერდით, მომეცით საშუალება უექიმო ამ შემთხვევასაც,
თქვენი ქალიშვილი ავადმყოფობით არის ისევ
შეპყრობილი და მე ვიცი რა წამალი უშველის.

ჟერონტი – ნუთუ შესაძლოა ბატონო ექიმო რომ თქვენ აგრეთვე
მოარჩინოთ ეს გონების ავადმყოფობა.

სგანარელი – დიახ, ნება მომეცით საქმეს შეუდგე, ჩვენი მეაფთიაქე
დიდად დამეხმარება ამ მკურნალობაში, თქვენ ხედავთ
რომ ლენდრისადმი სიყვარული სავსებით ეწინააღმდეგება
მამის ნება-სურვილს.

ჟერონტი – დიახ, დიახ.

სგანარელი – დიახ, დიახ, მე აქ მხოლოდ ერთ საშუალებას ვხედავ,
ეს არის ერთი წილი სასაქმებელი გაქცევისა რომელშიაც
თქვენ გაურევთ ორ დრახმა საქორწილო ცერემონიალს.
ახლა კი გაისეირნეთ მასთან ერთად ბაღში რომ
შეამზადოთ მისი ორგანიზმი, მაგრამ რაც მთავარია დროს
ნუ დაგვარგავთ, აბა ჩქარა წამალი, უებარი წამალი.

ჟერონტი – რა წამლებს ასახელებთ ბატონო ექიმო? აქამდე წამლის

ასეთი სახელები არასდროს არ გამიგონია?

სგანარელი – ამ წამალს გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის დროს ხმარობენ.

ჟერონტი – გინახავთ თქვენ სადმე ამგვარი კადნიერება?

სგანარელი – ახალგაზრდა ქალები ხშირად ჯიუტები არიან.

ჟერონტი – ვერ წარმოიდგენთ როგორი გადარეულია ამ ლეანდრის გამო.

სგანარელი – სისხლის მხურვალება მოქმედებს ახალგაზრდის გონებაზე.

ჟერონტი – როგორც კი გავიგე ამ სიყვარულის სიშმაგე იმ დღიდანვე ჩემი ქალიშვილი დაკეტილში მოვათავსე.

სგანარელი – ჭკვიანურად მოქცეულხართ.

ლუკა – ეს რა ჯანდაბაა ბატონო, ეს რა დავიდარაბაა. თქვენი ქალიშვილი გაიქცა ლეანდრთან ერთად, თურმე ის იყო მეთაურად გადაცმული. აი, ბატონო ექიმო, რომელმაც მოაწყო მთელი ეს ოპერაცია.

ჟერონტი – როგორ? შენ დამღუპე, დამაქციე? მალე დაუძახეთ პოლიციას, აქედან არ გაუშვათ. შე მოღალატე, სასამართლოს წინაშე გაგებინებ პასუხს.

ლუკა – აი, ნახავთ ბატონო ექიმო, რომ ჩამოგახრჩობენ. ადგილიდან არ გაინძრე. მოდი აქ.

მარტინა – აბა მითხარით იმ ექიმის ამბავი, მე რომ მიგითითეთ.

ლუკა – აი აგერ არის: უნდა ჩამოახრჩონ.

მარტინა – როგორ, ჩემი ქმარი უნდა ჩამოახრჩონ! ვაიმე რა ჩაიდინა ასეთი.

ლუკა – ჩემი ბატონის ქალიშვილის მოტაცება მოაწყო.

მარტინა – ვაიმე! ჩემო ძვირფასო ქმარო, ნუთუ მართლა უნდა ჩამოგახრჩონ?

სგანარელი – ხომ ხედავ, ახ!

მარტინა – ყველა ჩემი შეშა რომ დაგეპო ამით ცოტათი მაინც ვინუგეშებდი თავს.

სგანარელი – წადი აქედან, გულს ნუ მიხეთქავ.

მარტინა – არა, მე აქ უნდა დავრჩე, რომ სიკვდილის წინ გაგახსენო. ჩამოხრჩობამდე ვერ მიგატოვებ.

სგანარელი – ოჰ!

ჟერონტი – პოლიციელი მალე მოვა და იქ ჩაგსვამენ, სადაც საჭიროა.

მარტინა – ვაიმე არ შეიძლება რომ ყოველივე ეს ჯოხის რამოდენიმე დარტყმით შესცვალონ?

ჟერონტი – არა, არა, მართლმსაჯულება დასჯის, როგორც საჭირო იქნება.

რობერტი – აი,აი, რა ამბავია აქ?

ჟერონტი – ეს კაცი ვინ არის? ლეანდრი იქნება გადაცმული, მოხსენით პარიკი, პოლიცია, გაწკეპლეთ.

რობერტი – მე ცნობისმოყვარე მეზობელი ვარ.

ჟერონტი – თქვენი ნერვები არ მაქვს, ჩემი ქალი გაიტაცეს.

რობერტი – აი,აი, ეს რა მომხდარა, ორი დღეა აქეთ არ ვყოფილვარ და ხედავთ რეებს ბედავენ?

ჟერონტი – ახლავე გადით ჩემი სახლიდან თორემ თვენს თავს გაგაწკეპლინებ.

რობერტი – ვიცი ციცერონმა სთქვა : “არამკითხე მოამბეო მიტყეპე და მიაგდეო.”

ვალერიო – ბატონო ჟერონტი ლუცინდა დაბრუნდა.

ლევანდრი – ბატონო ჩემო, მე მოვედი რომ გამოგეცხადოთ როგორც ლევანდრი და დაგიბრუნოთ ლუცინდა...

ჟერონტი – რატომ ისევ დამუნჯდა ?

ლევანდრი – უნდა მოგახსენოთ ბატონო, რომ ეს ესაა მე მივიღე წერილი, სადაც მატყობინებენ, რომ ჩემი ბიძა გარდაიცვალა და მე ვარ მისი ქონების მემკვიდრე.

ჟერონტი – თქვენი კეთილშობილება პატივისცემის ღირსია და მე უდიდესი სიხარულით გაძღვეთ ცოლად ჩემს ქალიშვილს.

სგანარელი – მედიცინა მოხერხებულად გამოძვრა ამ საქმეში.

მარტინა – რადგან შენ არ ჩამოგახრჩობენ, გადამიხადე მადლობა ექიმის წოდებისთვის, რადგან ჩემი წყალობით მიიღე შენ ეს საპატიო სახელი.

სგანარელი – დიას! შენი წყალობით მივიღე ამდენი ცემა-ტყეპა.

რობერტი – გილოცავთ!

ლევანდრი – ბოლო ისე მშვენიერია, რომ არ ღირს გასახსენებლად.

დასასრული